

ანოტაცია

მარიამ აბუჯანდაძე

აცეტილირებული ალილგალაქტოპირანოზის მიერთების რეაქცია ქლორტრიმეთილსილანთან

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილ. ჭავჭავაძის გამზ. N3

სილიციუმის ნაერთები მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებენ ცოცხალი ორგანიზმის განვითარებაში. სილიციუმის ატომის შეყვანამ შესწავლილ სამკურნალო პრეპარატებში შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეცვალოს პრეპარატის მოქმედების ხასიათი, რიგ შემთხვევებში კი შესძინოს მათ ახალი თვისებები.

1-O-ალილ-2,3,4,6-ტეტრა-O-აცეტილ-β-D-გალაქტოპირანოზიდის(5) მიერთებით ქლორტრიმეთილსილანთან (6), კატალიზატორის დიკუმილის ზეჟანგის თანაობისას, პირველად იქნა სინთეზირებული 1-O-(2-ქლორ-3-ტრიმეთილსილილ)-პროპილ-2,3,4,6-ტეტრა-O-აცეტილ-β-D-გალაქტოპირანოზიდი (7). რეაქცია მიმდინარეობს მარკოვნიკოვის წესის შესაბამისად. სინთეზირებული ნაერთების სტრუქტურა განისაზღვრა ფიზიკურ-ქიმიური კვლევის მეთოდებით.

რეაქციები მიმდინარეობდა შემდეგი სქემის მიხედვით:

